



## ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში საქართველოს თავმჯდომარეობის შეჯამება

(2019 წლის 27 ნოემბერი - 2020 წლის 15 მაისი)

### I. შესავალი

1. 2019 წლის 27 ნოემბერს საქართველო, 1999 წელს ევროპის საბჭოში გაწევრიანების შემდეგ, პირველად გახდა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ქვეყანა. ეს ასევე დაემთხვა საქართველოს ორგანიზაციაში გაწევრიანების 20 წლის იუბილეს, რამაც გადაამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს ევროპულ ოჯახში დაბრუნების საკითხში.

2. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს თავმჯდომარეობის 6 თვიანი ვადიდან ბოლო 2 თვე დაემთხვა ყველაზე რთულ და გამოწვევებით სავსე COVID-19-ის პანდემიის გავრცელების პერიოდს, რომელიც 2020 წლის მარტში დაიწყო და ევროპის საბჭოს ნორმალურ ფუნქციონირებას უდიდესი დაბრკოლება შეუქმნა.

აღნიშნული უპრეცედენტო სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს თავმჯდომარეობის ძალისხმევითა და მხარდაჭერით, მოხდა ორგანიზაციის და მინისტრთა კომიტეტის ახალ სამუშაო მეთოდებზე გადასვლა (დაწვრილებითი ინფორმაცია იხ. IV პარაგრაფში).

3. ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის შემდგომი განმტკიცების მიზნით, საქართველომ დაადგინა მინისტრთა კომიტეტის **თავმჯდომარეობის შემდეგი ოთხი პრიორიტეტი**: 1. ადამიანის უფლებები და გარემოს დაცვა; 2. სამოქალაქო ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; 3. ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულება - აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული გამოცდილება; 4. დემოკრატიის გაძლიერება განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის ჩართულობით.

საქართველომ, თავმჯდომარეობის ეგიდით შეიმუშავა თავმჯდომარეობის ძირითადი ღონისძიებების ჩამონათვალი, თავმჯდომარეობის ოთხი პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი ძირითადი ღონისძიებების ჩათვლით<sup>1</sup>.

მინისტრთა კომიტეტში საქართველოს თავმჯდომარეობის ფარგლებში, საქართველოს მთავრობამ გამოყო ნებაყოფლობითი შენატანი 500,000 ევროს ოდენობით ევროპის საბჭოს პროექტებისთვის, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველოს თავმჯდომარეობის პრიორიტეტების განხორციელებას. 2019 წლის 27 ნოემბერს ნებაყოფლობითი შენატანის შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერეს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, დავით ზალკალიანმა და ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა, მარია პეჩინოვიჩ ბურიჩმა.

4. თავმჯდომარეობის განმავლობაში საქართველო მიზნად ისახავდა **მინისტრთა კომიტეტსა და საპარლამენტო ასამბლეას შორის ურთიერთობის** შენარჩუნებას და შემდგომ განმტკიცებას.

<sup>1</sup> მინისტრთა კომიტეტში საქართველოს თავმჯდომარეობის პრიორიტეტები (2019 წლის 27 ნოემბერი - 2020 წლის მაისი) CM / Inf (2019)22, 2019 წლის 22 ნოემბერი

2019 წლის 29 ნოემბერს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ, საპარლამენტო ასამბლეის მუდმივმოქმედ კომიტეტს, სტრასბურგში, წარუდგინა საქართველოს თავმჯდომარეობის პრიორიტეტები. 2020 წლის 27 იანვარს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ სიტყვით მიმართა საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიას. მან გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა 2019 წლის ოქტომბრიდან მინისტრთა კომიტეტის ფარგლებში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე. 2020 წლის 28 იანვარს, საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა სიტყვით მიმართა საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიას და მიმოიხილა საქართველოს მიღწევები დემოკრატიის მიმართულებით. ფრიად სამწუხაროა, რომ COVID-19-ის პანდემიის გამო ვერ შედგა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას და მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, დავით ზალკალიანის სიტყვით გამოსვლა ასამბლეის 2020 წლის საგაზაფხულო სესიაზე, სესიის გაუქმების გამო.

განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის 16 დეკემბერს, საქართველოს თავმჯდომარეობის ფარგლებში, თბილისში გაიმართა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დიასპორის პოლიტიკის საპარლამენტო ქსელის კონფერენცია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს თავმჯდომარეობის დროს ჩატარდა ევროპის საბჭოს ორი დამფუძნებელი ორგანოს (მინისტრთა კომიტეტი და საპარლამენტო ასამბლეა) გაერთიანებული კომიტეტის ორი შეხვედრა (2020 წლის 30 იანვარს და 5 მარტს). შეხვედრები მიზნად ისახავდნენ ძალისხმევის გამყარებას იმ საკითხებზე, რომლებიც მოითხოვენ კოორდინირებულ მოქმედებებს.

საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ, რიკ დაემსმა მინისტრთა კომიტეტს მიმართა 5 თებერვალს, 11 მარტს და 6 მაისს (ვიდეოკონფერენციის საშუალებით). აღსანიშნავია ისიც, რომ COVID-19-ის პანდემიის გამოცხადების შემდეგ, საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი, გენერალური მდივანი და ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ინფორმაციის გაცვლისა და იმ საკითხთა კოორდინაციის მიზნით, რომლებიც საერთო მოქმედებებს მოითხოვს, რეგულარულ შეხვედრებს ატარებდნენ ორ კვირაში ერთხელ, ვიდეოკონფერენციის რეჟიმში (2 აპრილს, 16 აპრილს, 29 აპრილს და 14 მაისს).

საქართველოს თავმჯდომარეობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მინისტრთა კომიტეტსა და საპარლამენტო ასამბლეას შორის დიალოგის გაღრმავებაში, *მინისტრთა კომიტეტსა და საპარლამენტო ასამბლეას შორის დამატებითი ერთობლივი პროცედურის დაწესების გზით, წევრი ქვეყნის მხრიდან ორგანიზაციის საწესდებო ვალდებულებების უხეში დარღვევის საპასუხოდ* (მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება, 2020 წლის 5 თებერვალი). ეს ამოცანა დასრულდა საქართველოს თავმჯდომარეობის დროს, საფრანგეთის და ფინეთის თავმჯდომარეობისას გაწეული უზარმაზარი სამუშაოს შედეგად.

5. საქართველოს თავმჯდომარეობის 6 თვის განმავლობაში, მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე საჯარო განცხადებებით რეგულარულად ეხმაურებოდა მნიშვნელოვან თარიღებსა და მოვლენებს. საერთო ჯამში, გაკეთდა 8 განცხადება, *კერძოდ* - 2019 წლის 10 დეკემბერს მინისტრმა, დავით ზალკალიანმა განცხადება გააკეთა ადამიანის უფლებათა დაცვის დღესთან დაკავშირებით; 2020 წლის 29 იანვარს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ, გენერალურ მდივანთან, საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარესთან ერთად გააკეთა განცხადება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით; 2020 წლის 26 თებერვალს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ განცხადება გააკეთა ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უკანონო ანექსიის 6 წლისთავთან დაკავშირებით; 2020 წლის 20 მარტს მინისტრმა, დავით ზალკალიანმა განცხადება გააკეთა რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით; 2020 წლის 22 აპრილს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ განცხადება გააკეთა და კმაყოფილება გამოთქვა, მინისტრთა კომიტეტის მიერ COVID-19-ის პანდემიაზე დეკლარაციის მიღებასთან დაკავშირებით; 2020 წლის 30 აპრილს მინისტრმა, დავით ზალკალიანმა განცხადება გააკეთა პრესის თავისუფლების მსოფლიო დღესთან

დაკავშირებით; 2020 წლის 5 მაისს, მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე განცხადებით გამოეხმაურა ევროპის დღეს, ხოლო 2020 წლის 8 მაისს - მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 75 წლისთავს.

6. კულტურული დიპლომატიის კუთხით, საქართველოს თავმჯდომარეობამ დაისახა ამბიციური მიზანი, ევროპის საბჭოსა და ქალაქ სტრასბურგში გამორჩეული *ქართული კულტურის* პოპულარიზაციის სახით. სტრასბურგის მერიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, საქართველოს თავმჯდომარეობის ფარგლებში მოეწყო: საქართველოს ეროვნული ბალეტის „სუბიმილები“ კონცერტი (2019 წლის 3 დეკემბერი, *Palais de la Musique et des Congrès* - მუსიკისა და კონგრესების სასახლე - სტრასბურგი); ქართული კოტეჯი სტრასბურგის საშობაო ბაზრობაზე (საშობაო ტკბილეულით და სუვენირებით; 2019 წლის 22 ნოემბერი - 24 დეკემბერი, *გუტენბერგის მოედანი*, სტრასბურგი); სტრასბურგის ერთ-ერთი ტრამვაის გაფორმება უნიკალური ქართული ანბანის ასოებით (მინისტრთა კომიტეტში საქართველოს თავმჯდომარეობის ლოგოსთან ერთად); კონცერტი ქართველი ხელოვანის, გვანცა გაგნიძის მონაწილეობით სტრასბურგის ფილარმონიის ორკესტრთან ერთად (2019 წლის 16 დეკემბერი, *Saint Maurice Church* - წმინდა მორისის ეკლესია, სტრასბურგი); ფოტოგამოფენა „ზამთარი საქართველოში“ (2020 წლის 27-31 იანვარი, *CM Foyer, Palais de l'Europe* - მინისტრთა კომიტეტის ფოიე, ევროპის სასახლე); მოდების ჩვენება - გაზაფხული / ზაფხული 2020, ქართველი დიზაინერის, ქეთი ჩხიკვაძის ჩვენება (2020 წლის 28 იანვარი, *Pavillon Joséphine* - ჟოზეფინას პავილიონი, სტრასბურგი); 6 ფილმის ჩვენება ქართული ფილმების ორკვირიანი ფესტივალის ფარგლებში (4-17 მარტი, *Cinema Odysée* - კინოთეატრი ოდისეა, სტრასბურგი. უნდა აღინიშნოს, რომ COVID-19-ის პანდემიის გამო 2 ფილმის ჩვენება ვერ მოხერხდა, თუმცა მოგვიანებით, კერძოდ, მაისის დასაწყისში შეიქმნა სპეციალური ინტერნეტგვერდი, სადაც უფასოდ განთავსდა 9 ქართული ფილმი ევროპის საბჭოსა და საფრანგეთის აუდიტორიისათვის). სამწუხაროდ, COVID-19-ის პანდემიის გამო, 22 აპრილს დაგეგმილი ქართული კულინარიული ფესტივალი გაუქმდა.

## II. თავმჯდომარეობის პრიორიტეტები

### 1. ადამიანის უფლებები და გარემოს დაცვა

საქართველოს თავმჯდომარეობის მიზანს წარმოადგენდა ადამიანის უფლებებსა და გარემოს დაცვას შორის ურთიერთკავშირის გაღრმავება. თავმჯდომარეობა მხარს უჭერდა ცნობიერების ამაღლებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა გავლენას ახდენს ადამიანის უფლებებზე გარემოსდაცვითი პრობლემები და ასევე, თუ როგორ აისახება ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული პრობლემები გარემოს დაცვაზე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციაში (ECHR) არ არის მოხსენიებული გარემო და არც კონკრეტულად გარემოს დაცვა კონვენციით უზრუნველყოფილი. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებები გარემოსდაცვითი საკითხების კონტექსტში, რათა დაიცვას ცალკეული ადამიანები გარემოსდაცვითი ზიანის შედეგებისგან. გარემოსდაცვითი ზიანისგან სამართლებრივი დაცვა მტკიცედ არის დაკავშირებული ძირითად უფლებებთან, როგორცაა სიცოცხლის უფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება და საცხოვრისის დაცულობის უფლება.

საქართველოს თავმჯდომარეობა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას მიიჩნევს ეფექტურ ინსტრუმენტად, რომელიც უფრო ფართოდ უნდა გამოიყენონ წევრი სახელმწიფოების ხელისუფლებებმა გარემოსდაცვითი ზიანისგან ცალკეული ადამიანებისა და თემების დასაცავად. ასევე, საქართველოს თავმჯდომარეობის მტკიცე მოსაზრებით, წევრ სახელმწიფოებში გარემოსდაცვითი სტანდარტების უფრო ზედმიწევნით დაცვა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების უკეთესი დაცვის საშუალებას. ამასთანავე, ხელს უწყობს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას.

1. 2020 წლის 27 თებერვალს, საქართველოს თავმჯდომარეობის ფარგლებში, ქ. სტრასბურგში ჩატარდა *მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენცია გარემოს დაცვისა და ადამიანის უფლებების შესახებ*. კონფერენცია გახსნეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა, ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა, მარია პეჩინოვიჩი ბურიჩმა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა, რიკ დაემმა. მომხსენებლებს შორის ასევე იყვნენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტი, ლინოს-ალექსანდრე სიცილიანოსი, ადამიანის უფლებათა კომისარი, დუნია მიატოვიჩი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების კონფერენციის პრეზიდენტი, ანა რურკა. მონაწილეებმა ისაუბრეს ადამიანის უფლებებსა და გარემოს დაცვას შორის ურთიერთობაზე ეროვნული პოლიტიკისა და საერთაშორისო სამართლის კონტექსტში. ასევე განიხილეს შემდგომი ნაბიჯები, ამ სფეროში ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებების უკეთ შესრულების მიზნით. კონფერენცია დასრულდა გარემოს დაცვასა და ადამიანის უფლებებზე საქართველოს თავმჯდომარეობის ინიცირებული საბოლოო დეკლარაციის მიღებით. მიღებული დეკლარაცია მოუწოდებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და სოციალური უფლებების ევროპულ კომიტეტს კიდევ უფრო დასაბუთებულად წარმოადგინონ თავიანთი პრეცედენტული სამართალი და გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებული საჩივრები განიხილონ პრიორიტეტული წესით. დეკლარაციის თანახმად, ევროპულ დონეზე შემუშავებულმა პრეცედენტულმა სამართალმა უნდა შთააგონოს ეროვნულ მთავრობებსა და სასამართლოებს, დაიცვან გარემო ადამიანის უფლებების დაცვითი მიდგომების საშუალებით. დეკლარაციაში ასევე ნათქვამია, რომ უფრო კოორდინირებული ქმედებები ევროპულ დონეზე შექმნის მნიშვნელოვან პრეცედენტს და შეამცირებს მომავალ თაობებში ადამიანის უფლებების დაზიანების რისკს.<sup>2</sup>

2. საქართველოს თავმჯდომარეობა ასევე უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ორგანიზებულ *ადამიანის უფლებათა და გარემოს დაცვის საერთაშორისო კონფერენციის - „ადამიანის უფლებები პლანეტისთვის“* ფინანსურ მხარდაჭერას. კონფერენცია თავდაპირველად დაგეგმილი იყო 2020 წლის 9 აპრილს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, თუმცა, COVID-19-ის პანდემიის გამო იგი გადაიდო 2020 წლის 5 ოქტომბრისთვის. დაგეგმილი კონფერენცია მიზნად ისახავს ცნობილ პრაქტიკოსებსა და აკადემიურ ექსპერტებს შორის დებატების გამართვას საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლისა და ადამიანის უფლებების სფეროში.<sup>3</sup>

## 2. სამოქალაქო ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

წარმომადგენლობითი დემოკრატიული სახელმწიფოები სულ უფრო და უფრო აწყდებიან ახალ გამოწვევებს: მოქალაქეთა უპირატესობებსა და ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის თანაფარდობის დარღვევა იზრდება მაშინ, როდესაც მცირდება ამომრჩეველთა აქტივობა და ხელისუფლებისადმი ნდობა კი ისტორიულად დაბალ ნიშნულზეა. პოპულიზმი და ფართომასშტაბიანი მოძრაობებისა და პროტესტის გაჩენა ადასტურებს ხალხის უკმაყოფილებას მათი მთავრობების მიმართ. საქართველოს თავმჯდომარეობა მხარს უჭერს საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოებისა და მოქალაქეების ჩართულობის დონის ამაღლებას, როგორც ამ უარყოფითი ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას. ეს არ ნიშნავს, რომ წარმომადგენლობითი დემოკრატია ძირითადად უნდა შეიცვალოს, არამედ უნდა შეივსოს მონაწილეობითი დემოკრატის ელემენტებით. არჩევნებს შორის სამოქალაქო საზოგადოებისა და მოქალაქეების მუდმივი ჩართულობა ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია ქვეყნის დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისთვის და გზას უხსნის საჯარო დიალოგს კრიტიკულ თემებზე.

<sup>2</sup> მაღალი დონის კონფერენციის შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის თანმხლები დოკუმენტებისა და მიღებული დეკლარაციის ჩათვლით, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://www.coe.int/en/web/human-rights-rule-of-law/human-rights-and-the-environment>. მაღალი დონის კონფერენციის მასალები მალე იქნება ხელმისაწვდომი.

<sup>3</sup> დეტალური ინფორმაცია კონფერენციის შესახებ, მათ შორის თანმხლები დოკუმენტები ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://www.coe.int/en/web/portal/conference-material-human-rights-for-the-planet>.

1. გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის კუთხით საქართველოს პრიორიტეტის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მერიასა და ევროპის საბჭოს დემოკრატიული მმართველობის დეპარტამენტს შორის თანამშრომლობის შედეგად დაიწყო პროექტი, რომლის მიზანია დაეხმაროს ქალაქ თბილისის მერიას სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან კონსულტაციის, თანამშრომლობისა და ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების მუდმივმოქმედი პლატფორმის შექმნაში. ზემოაღნიშნული შეეხება ურბანული განვითარების მნიშვნელოვან ღონისძიებებს. მთელი რიგი სამუშაო შეხვედრებისა და კონსულტაციების შედეგად, მათ შორის 2019 წლის 13 სექტემბერს ევროპის საბჭოს, თბილისის მუნიციპალიტეტის, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლების მონაწილეობით თბილისში ჩატარებული სემინარის ჩათვლით, შეიქმნა ინოვაციური მექანიზმი - სპეციალური პლატფორმა. პლატფორმას, რომელიც თანაბრად დაკომპლექტდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისგან, ევალუბოდა გლდანის ტბის (თბილისი) მახლობლად მუნიციპალური პარკის დაპროექტება. კონსულტაციების შედეგად მიღწეულია შეთანხმება გლდანის ტბის პარკის ტექნიკური გეგმის თაობაზე, ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.

2. საქართველოს თავმჯდომარეობის ფარგლებში, კერძოდ, ქალაქ თბილისის მერიასა და ევროპის საბჭოს დემოკრატიის გენერალური დირექტორატის ძალისხმევით დაიგეგმა საერთაშორისო კონფერენციის - „*გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობა*“ ჩატარება 2020 წლის 6 მარტს სტრასბურგში, ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე სამოქალაქო საზოგადოების წარმატებული ჩართულობის სასარგებლო და ინოვაციური გამოცდილების გაზიარების მიზნით. კონფერენციის მიზანი იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის მნიშვნელობის ხაზგასმა საზოგადოების განვითარებისა და ქალაქის ცხოვრებისათვის. ასევე, ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე ინოვაციური გამოცდილებისა და სამოქალაქო ჩართულობის წარმატებული ინიციატივების ჩვენება. ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო 47 წევრი ქვეყნის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ექსპერტებს, ასევე მიზნად ისახავდა ამ სფეროში ევროპის საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობას და არასამთავრობო ორგანიზაციების მსოფლიო დღის აღნიშვნას (28 თებერვალი). სამწუხაროდ, COVID-19-ით გამოწვეული შეზღუდვების გამო საერთაშორისო კონფერენცია გადაიდო. თუმცა, თემის აქტუალობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, საქართველოს თავმჯდომარეობისა და დემოკრატიის გენერალური დირექტორატის ძალისხმევით გადაწყდა ღონისძიების ჩატარება ონლაინ ფორმატში. შესაბამისად, ონლაინ კონფერენცია ჩატარდა 2020 წლის 6-7 მაისს, რომლის მსვლელობის დროს საზოგადოებას ჰქონდა მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. მომხსენებლებისა და საზოგადოების კონტრიბუციის გათვალისწინებით, 2020 წლის 11 მაისს დასკვნით ეტაპზე მიღებულ იქნა საქართველოს თავმჯდომარეობის დასკვნები გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის თემაზე.<sup>4</sup>

### 3. ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულება - აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული გამოცდილება

ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ყოველწლიურად ათასობით ბავშვი მონაწილეობს სასამართლო პროცესებში. მართლმსაჯულების სისტემებთან კონტაქტში ან კონფლიქტში მყოფი ბავშვები, რომლებიც მსხვერპლის, მოწმის, დამნაშავეს ან სასამართლო პროცესის მხარის როლში არიან წარმოდგენილნი, როგორც სამოქალაქო და ადმინისტრაციულ, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე ხშირად დაუცველნი არიან და საჭიროებენ დაცვას. მათ ხშირად უპირისპირდება მოზრდილებისთვის შექმნილი სისტემა, რომელიც ცუდად არის მორგებული ბავშვების საჭიროებებზე. თავისუფლების აღკვეთამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ბავშვების საგანმანათლებლო, სოციალურ და განვითარების საჭიროებებს და მოახდინოს გრძელვადიანი უარყოფითი გავლენა მათზე.

<sup>4</sup> კონფერენციასთან დაკავშირებული დოკუმენტები, მომხსენებლების მიმართვები, საზოგადოების გამოხმაურებები და თავმჯდომარეობის დასკვნები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ საიტზე: <https://www.coe.int/participation>

იმ შემთხვევაში, თუკი ბავშვები, ნებისმიერი ფორმით მონაწილეობენ აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში, მათი ასაკი და ინდივიდუალური განვითარების თავისებურებები სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული, ხოლო პროცედურა - მათზე მორგებული. პროცესის განმავლობაში, ბავშვების მშობლების ან კანონიერი მეურვეების დასწრება სავალდებულოა. ამასთანავე, არასრულწლოვნები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი განსაკუთრებული უფლებებით. შესაბამისად, სისხლის სამართლის ტრადიციულ სისტემასთან კონტაქტში მყოფი ბავშვების მიმართ გამოყენებული შიდა სამართლებრივი გარანტიები უნდა გავრცელდეს თვით აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესზეც. ეს გულისხმობს სასამართლო ხელისუფლების ან სისხლის სამართლის ორგანოების განსაკუთრებულ საზედამხედველო როლს აღდგენითი მართლმსაჯულების პროცედურაზე, რომელშიც ბავშვები მონაწილეობენ.

საქართველოს თავმჯდომარეობამ, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და სამართლის უზენაესობის გენერალურ დირექტორატთან (DGI) თანამშრომლობით, 2020 წლის 23 მარტს სტრასბურგში დაგეგმა *მაღალი დონის მრგვალი მაგიდა „ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების - აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული გამოცდილების საკითხზე“*. თუმცა, COVID-19-ის გავრცელების გამო, ღონისძიება გადაიდო. მოგვიანებით, ადამიანის უფლებათა და სამართლის უზენაესობის გენერალურ დირექტორატთან (DGI) ერთად გადაწყდა ღონისძიების ჩატარება ონლაინ ფორმატში, ახალი თარიღით. უფრო კონკრეტულად, გადაწყდა, რომ შეიქმნას სპეციალური გვერდი ევროპის საბჭოს ბავშვთა უფლებების განყოფილების ვებ-გვერდზე, სადაც განთავსებული იქნება მრგვალი მაგიდის შესახებ სრული ინფორმაცია, მათ შორის, შესაბამისი რესურსები. 2020 წლის 12 მაისს ამოქმედებული სპეციალური გვერდის მეშვეობით, საქართველოს თავმჯდომარეობამ ხელი შეუწყო ბავშვებზე ორიენტირებული მართლმსაჯულებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ ევროპის საბჭოს სტანდარტების წახალისებას, რაც გათვალისწინებულია ორგანიზაციის სხვადასხვა სტრატეგიულ დოკუმენტში. ვებ-გვერდის მიზანია აგრეთვე საქართველოს გამოცდილების გაზიარება ბავშვებზე ორიენტირებული მართლმსაჯულების განხორციელების ყველა კონტექსტში და აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენებაში, სადაც ბავშვები წარმოადგენენ ძირითად დაინტერესებულ მხარეებს, მსხვერპლის ან დამნაშავეს როლში. მომხსენებელთა წვლილის გათვალისწინებით, საბოლოო ეტაპზე საქართველოს თავმჯდომარეობის ფარგლებში მიღებულია დასკვნები ბავშვებზე ორიენტირებული მართლმსაჯულების შესახებ.<sup>5</sup>

#### 4. დემოკრატიის გაძლიერება განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის ჩართულობით

საქართველოს თავმჯდომარეობა მიზნად ისახავდა ევროპის საბჭოს ერთ-ერთი მთავარი ღირებულების - დემოკრატიის ხელშეწყობას განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის ჩართულობის გზით, ვინაიდან ისინი მჭიდროდ არიან ურთიერთდაკავშირებულნი და ავსებენ ერთმანეთს. თავმჯდომარეობის ფარგლებში გაგრძელდა დამატებითი ზომების მიღება, რაც ხელს შეუწყობს დემოკრატიული და ინკლუზიური საზოგადოებების ჩამოყალიბებას დემოკრატიის კულტურის განვითარების გზით. ზემოაღნიშნული თავის მხრივ გამოიხატება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების, ადამიანის უფლებების სწავლებისა და ახალგაზრდობის მონაწილეობის ხელშეწყობაში, ასევე სამოქალაქო საზოგადოებაში ახალგაზრდობის ჩართულობის წახალისებაში. ახალგაზრდები არიან ძირითადი პარტნიორები დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და სამართლის უზენაესობის გაძლიერების საქმეში.

1. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს თავმჯდომარეობამ უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა ევროპულ საზოგადოებებში ახალგაზრდობის არსებითი თანამონაწილეობის ხელშეწყობას, 2020 წლის 23 იანვარს *მინისტრთა მოადგილეების არაფორმალურ შეხვედრაზე* ჩატარდა *მოსაზრებების გაცვლა თემაზე - ახალგაზრდობის ჩართულობით დემოკრატიის გაძლიერება ევროპის საბჭოსა და მის წევრ ქვეყნებში*. შეხვედრაზე ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ისაუბრა იმ მექანიზმის შექმნის

<sup>5</sup> კონფერენციასთან დაკავშირებით დოკუმენტები, მომხსენებელთა მიმართვები, საზოგადოებების გამოხმაურებები და თავმჯდომარეობის დასკვნები მოცემულია შემდეგ მისამართზე: <https://www.coe.int/en/web/children/child-friendly-justice-europe-march-2020>

აუცილებლობაზე, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების მიერ განათლების უფლებითა და სხვა სოციალური უფლებებით სარგებლობას. შეხვედრაზე ასევე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელი რევაზ ჩარკვიანი. მან ხაზი გაუსვა ეროვნულ დონეზე ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობას და ამ კუთხით სააგენტოს როლს. მან ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდულ სექტორში განხორციელებულ რეფორმებზე. შეხვედრაზე პრეზენტაციით წარდგინეს ახალგაზრდობის ერთობლივი საბჭოსა (CMJ) და ახალგაზრდობის საკითხებზე მრჩეველთა საბჭოს (CCJ) თავმჯდომარე, ანია ოლინ ჰაპე, ევროპის ახალგაზრდული ფორუმის (YFJ) ვიცე-პრეზიდენტი, ვილე მაიამა, ახალგაზრდობის მდგრადობისა და ადვოკატირების (SAY) დამფუძნებელი და ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესის ყოფილი ახალგაზრდა დელეგატი, ნილს დე ფრაგიე. მომხსენებლებმა განიხილეს საზოგადოებრივ საქმიანობაში ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობასთან დაკავშირებული საკითხები.

2. 2020 წლის 23 იანვარს, ზემოაღნიშნული მოსაზრებების გაცვლის შემდეგ, საქართველოს თავმჯდომარეობის ეგიდით გაიმართა *ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის სტრატეგიის 2030 პრეზენტაცია*. ახალგაზრდული სექტორის სტრატეგია წარმოადგენს ევროპული კულტურული კონვენციის 50 მონაწილე სახელმწიფოსთვის პოლიტიკის სახელმძღვანელოს მომდევნო ათი წლის განმავლობაში. ახალი სტრატეგია მიზნად ისახავს ამ სფეროში ახალი იმპულსის შექმნას ოთხი თემატური პრიორიტეტის გარშემო: ახალგაზრდების მიერ პლურალისტური დემოკრატიის აღორძინება; ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა უფლებებზე; თანაცხოვრება მშვიდობიან და ინკლუზიურ საზოგადოებებში; ახალგაზრდული საქმიანობა.

3. საქართველოს თავმჯდომარეობის ფარგლებში, 2020 წლის 30 მარტს სტრასბურგში დაიგეგმა *მრგვალი მაგიდა - „დემოკრატიის გაძლიერება განათლებისა და კულტურის მეშვეობით“*. თუმცა, სამწუხაროდ COVID-19-ის პანდემიის გამო აღნიშნული ღონისძიება გაუქმდა.

4. 2020 წლის 1-3 აპრილს ლუქსემბურგში, საქართველოს თავმჯდომარეობის ეგიდით დაიგეგმა *ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების შესახებ გაფართოებული წილობრივი შეთანხმების (EPA) მმართველი საბჭოს ყოველწლიური შეხვედრა*. საქართველომ, როგორც თავმჯდომარე ქვეყანამ, ეს ღონისძიება მიიჩნია კარგ შესაძლებლობად, რათა გაზიარებულ იქნეს საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს კულტურულ პრიორიტეტებსა და კულტურულ მარშრუტებში შეტანილი წვლილი. სამწუხაროდ, COVID-19-ის გავრცელების ფონზე, აღნიშნული ღონისძიება გადაიდო და გამონაკლისის სახით ჩატარდება 2020 წლის 7-9 ოქტომბერს, საბერძნეთში, ქ. ხანიაში მრჩეველთა ყოველწლიური ფორუმის ფარგლებში.

5. 2020 წლის 7 აპრილს, საქართველოს თავმჯდომარეობის ეგიდით დაიგეგმა *განათლების პოლიტიკის საკითხებზე მრჩეველთა ქსელის (EPAN) შეხვედრა - „განათლება დემოკრატიისთვის: განათლების მეშვეობით ევროპაში დემოკრატიის პრაქტიკის განვითარება“*. საქართველოს თავმჯდომარეობამ მიზნად დაისახა ევროპის საბჭოს საკოორდინაციო ძალისხმევის გააქტიურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად, განსაკუთრებით აღსანიშნავია SDG მე-4 მიზნის, ხარისხიანი განათლების ხელშეწყობა, რაც მიიღწევა დემოკრატიული კულტურისა და ენის სწავლების კომპეტენციებზე აქცენტირებით. სამწუხაროდ, COVID-19-ის გავრცელების გამო, შეხვედრა გადაიდო, თარიღი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

### III. სხვა საქმიანობები

1. საქართველოს თავმჯდომარეობის ეგიდით, 2019 წლის 12 დეკემბერს, სტრასბურგში მინისტრთა მოადგილეების არაფორმალურ შეხვედრაზე გაიმართა *მოსაზრებების გაცვლა თემაზე - „ქალთა და გოგონათა მიმართ კიბერძალადობა“*. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს სამოქალაქო საზოგადოების სპეციალისტებმა და ევროპის საბჭოს სხვადასხვა ორგანოების წევრებმა.



ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მზარდმა გამოყენებამ შექმნა ახალი განზომილება ქალების წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედებისთვის და სექსიზმის გამოსახატავად. კიბერძალადობის ფორმები, რომლებიც მრავალფეროვანია და ვითარდება ციფრული მექანიზმების განვითარების კვალდაკვალ, ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ არსებული საკითხის განუყოფელი ნაწილია. საერთო მონაცემების არ არსებობის მიუხედავად, კვლევებმა აჩვენა, რომ ქალები არაპროპორციულად არიან მიზანმიმართული ძალადობის მსხვერპლი და განიცდიან კიბერძალადობის ისეთ შემაშფოთებელ შედეგებს, როგორცაა ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანი და/ან ტკივილი.

შეხვედრა გახსნა მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის თავმჯდომარემ, ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ირაკლი გივიშვილმა, რომელმაც ხაზი გაუსვა ევროპის საბჭოს ძალისხმევის მნიშვნელობას ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში და საქართველოს, როგორც თავმჯდომარე ქვეყნის ვალდებულებას მხარი დაუჭიროს ორგანიზაციას ამ ბრძოლაში. შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა GREVIO-ს პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ირის ლორაზი, რომელმაც თემა განიხილა სტამბოლის კონვენციის კონტექსტში და ასევე ისაუბრა, როგორც მედიის პროფესორმა და კომუნიკაციის ექსპერტმა. აღსანიშნავია, რომ ევროპარლამენტისთვის ჩატარებული კვლევის „ქალთა მიმართ გამოვლენილი კიბერძალადობა და სიძულვილის ენა ინტერნეტით“ ავტორმა და „#HerNetHerRights“ (ქალთა ევროპული ლობი - European Women's Lobby) მოხსენების კონსულტანტმა, ადრიანე ვან დერ ვილკმა წარმოადგინა კვლევის შედეგები. ქალთა კონსულტაციისა და ძალადობის კრიზისული ცენტრების ფედერალური ასოციაციის წევრმა, უტე ზილიგმა ისაუბრა გენდერული ძალადობის სფეროში საკონსულტაციო საქმიანობის შესახებ. მომხსენებლების პრეზენტაციებს მოჰყვა აქტიური დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ მუდმივი წარმომადგენლობები და ევროპის საბჭოს სხვადასხვა ორგანოები, ასევე სამოქალაქო საზოგადოების სპეციალისტები, რომლებმაც ყურადღება გაამახვილეს თანამშრომლობის შემდგომ განვითარებაზე ქალებისა და გოგონების მიმართ კიბერძალადობის წინააღმდეგ საყოველთაო მიდგომის უზრუნველსაყოფად.

2. 2020 წლის 30 იანვარს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, დავით ზალკალიანი სიტყვით გამოვიდა ეუთოს მუდმივი კომიტეტის სხდომაზე. მან მუდმივ კომიტეტს გააცნო საქართველოს თავმჯდომარეობის პრიორიტეტები და თავმჯდომარეობის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები. მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ განსაკუთრებით აღნიშნა ორივე ორგანიზაციის მნიშვნელოვანი როლი ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიის განვითარებისა და სამართლის უზენაესობის უზრუნველყოფის პროცესში.

3. 2020 წლის 13 თებერვალს მინისტრთა მოადგილეების შეხვედრაზე გაიმართა **გაეროს საკითხზე (ადამიანის უფლებები) მოსაზრებების ყოველწლიური ურთიერთგაცვლა**, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ექსპერტებმა დედაქალაქებიდან და განიხილეს თემატური საკითხი - ადამიანის უფლებები და ბიოტექნოლოგიები.

აშკარაა, რომ ბოლო დროს ბიომედიცინაში მიმდინარე ტექნოლოგიურმა განვითარებამ ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო შესაძლებლობებთან ერთად წარმოშვა ახალი პრობლემები ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით, რაც უკავშირდება იდენტობას, ავტონომიას, კონფიდენციალურობასა და დისკრიმინაციის დაუშვებლობას. ტექნოლოგიების ბუნება და მათი გავლენა ადამიანებზე, მათი განვითარების სიჩქარე და ყოვლისმომცველი გავრცელება, ისევე როგორც მათი ბოროტად გამოყენების შემთხვევაში ადამიანის უფლებების საფრთხის ქვეშ დაყენება მოითხოვს საერთაშორისო დონეზე მჭიდრო თანამშრომლობას ამ პრობლემების მოსაგვარებლად.

მოსაზრებების ურთიერთგაცვლის დროს განიხილეს შემდეგი თემები: გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 2020 წლის დღის წესრიგი; თემატური მსჯელობა ადამიანის უფლებებისა და ბიოტექნოლოგიის საკითხებზე; ბიოეთიკის ახალი გამოწვევები; გაეროს გენერალური ასამბლეის 74-ე სესიის ფარგლებში მე-3 კომიტეტის ღონისძიებები და ძირითადი შედეგები. შეხვედრა გახსნა ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს გაეროს ადამიანის



უფლებათა საბჭოს პრეზიდენტმა, ელჩმა ელისაბედ ტიჩი-ფიზბერგერმა, ევროპის საბჭოს ბიოეთიკის კომიტეტის (DH-BIO), ბიომედიცინაში ადამიანის უფლებებისა და ტექნოლოგიების შესახებ სტრატეგიული სამოქმედო გეგმის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ, დოქტორმა სიობან ოსულივანმა, ასევე იუნესკოს ბიოეთიკის საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტმა, პროფესორმა ჰერვე ჩნეივისმა და ევროკავშირის მეცნიერებათა და ტექნოლოგიების შეფასებაზე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურმა მომხსენებელმა, ოლივერ ბეხტმა. ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ექსპერტებმა აქტიურად გაცვალეს მოსაზრებები.

აღსანიშნავია, რომ, 2020 წლის 12 თებერვალს, მინისტრთა მოადგილეების კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მინისტრთა კომიტეტი მიესალმება 2019 წლის ნოემბერში ბიოეთიკის კომიტეტის (DH-BIO) მიერ მიღებულ **სტრატეგიულ სამოქმედო გეგმას ბიომედიცინაში ადამიანის უფლებებისა და ტექნოლოგიების შესახებ (2020-2025)**. აღნიშნული გეგმა მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების სფეროში ტექნოლოგიური განვითარებით გამოწვეული პრობლემების გადაჭრას.

4. 2020 წლის 29 აპრილს, მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის თავმჯდომარემ, ელჩმა ირაკლი გივიაშვილმა მონაწილეობა მიიღო ონლაინ შეხვედრაში, რომელსაც უმასპინძლა გენერალურმა მდივანმა. შეხვედრის ფარგლებში, გენერალური მდივანს ჟურნალისტთა დაცვისა და უსაფრთხოების პლატფორმის პარტნიორებმა ყოველწლიური ანგარიში წარუდგინეს. ირაკლი გივიაშვილმა პარტნიორებს დაუდასტურა, რომ მინისტრთა კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გამოხატვის თავისუფლებას და მედიის თავისუფლებას. მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის თავმჯდომარემ შეახსენა მონაწილეებს, რომ 6 აპრილს მინისტრთა კომიტეტი აპირებდა არაფორმალური მოსაზრებების ურთიერთგაცვლას ჟურნალისტების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ გენერალური მდივანი და პლატფორმის პარტნიორები. თუმცა, აღნიშნული შეხვედრა გადაიდო COVID-19 პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გამო. ირაკლი გივიაშვილმა მათ აცნობა, რომ მოსაზრებების ურთიერთგაცვლა შესაძლებელი იქნება მაშინ, როდესაც მინისტრთა კომიტეტი ფიზიკურად შეიკრიბება და პარტნიორები ვიდეოკონფერენციის მეშვეობით შეძლებენ მონაწილეობის მიღებას.

5. 2020 წლის 1 მაისს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობის დროს საქართველო ევროპის საბჭოს ნარკომანიასა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის თანამშრომლობის ჯგუფის (Pompidou Group) 41-ე წევრი ქვეყანა გახდა. აღნიშნულ პლატფორმაში გაერთიანება არის საქართველოს ხელისუფლებისა და პომპიდუს ჯგუფის სამდივნოს შორის არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობისა და აქტიური კონსულტაციების შედეგი.

4. 2020 წლის 12 მაისს, ევროპის საბჭოსა და ეუთოს შორის საკოორდინაციო ჯგუფის 31-ე შეხვედრა გაიმართა ვიდეოკონფერენციის ფორმატში. მისი ჩატარება თავდაპირველად დაგეგმილი იყო 2020 წლის 27 მარტს სტრასბურგში, თუმცა COVID-19-ის პანდემიის გამო გადაიდო. ამასთან დაკავშირებით, საკოორდინაციო ჯგუფმა შეაჯამა ურთიერთთანამშრომლობის შედეგები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების დაცვის, ტოლერანტობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ხელშეწყობის სფეროებში.

#### IV. COVID-19 პანდემია და მინისტრთა კომიტეტის ახალი სამუშაო მეთოდები

როგორც ამ დოკუმენტის შესავალ ნაწილში აღინიშნა, საქართველოს პრეზიდენტობის 6 თვიანი ვადიდან ბოლო 2 თვე COVID-19-ის პანდემიას, ყველაზე რთულ და გამოწვევებით სავსე პერიოდს დაემთხვა. 2020 წლის მარტის დასაწყისში პანდემიამ უზარმაზარი სირთულეები შეუქმნა ევროპის საბჭოს ნორმალურ ფუნქციონირებას. COVID-19-ის გავრცელების შესამცირებლად საფრანგეთის ხელისუფლების მიერ დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით, მინისტრთა მოადგილეების კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება 25 მარტის და 1 აპრილის შეხვედრების გაუქმებასთან დაკავშირებით.

ამასთანავე, საქართველოს თავმჯდომარეობამ ძალისხმევა არ დაიშურა წევრი ქვეყნებისთვის ახალი სამუშაო მეთოდის შემუშავებისათვის, რათა მინისტრთა კომიტეტს ჰქონოდა მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობა. გენერალური მდივნის, მინისტრთა კომიტეტის სამდივნოს და ორგანიზაციის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დიდი მხარდაჭერით მოხერხდა მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის მუშაობის განახლება ისეთი ახალი სამუშაო მეთოდების შემოღებით, როგორცაა წერილობითი პროცედურა და ვიდეოკონფერენცია.

უფრო კონკრეტულად:

**1. მინისტრთა კომიტეტის ბიურომ** შეხვედრებისთვის დაიწყო წერილობითი პროცედურისა და ვიდეოკონფერენციის მეთოდის გამოყენება და გამართა 10 შეხვედრა, კერძოდ, 17 მარტს (წერილობითი პროცედურა), 24 მარტს (წერილობითი პროცედურა), 30 მარტი (წერილობითი პროცედურა), 6 აპრილს (ვიდეოკონფერენცია), 14 აპრილს (წერილობითი პროცედურა), 17 აპრილს (ვიდეოკონფერენცია), 21 აპრილს (ვიდეოკონფერენცია), 4 მაისს (ვიდეოკონფერენცია) და 11 მაისს (ვიდეოკონფერენცია). ბიუროს თითოეულ სხდომას თან ახლდა მინისტრთა მოადგილეებისათვის გამიზნული რეკომენდაციები, მინისტრთა კომიტეტის მუშაობის დროს პანდემიით გამოწვეული სირთულეების დასაძლევად.

**2. მინისტრთა კომიტეტმა** 2020 წლის 8 აპრილის სხდომისთვის გამოიყენა წერილობითი პროცედურა, რომლის ფარგლებში მიიღეს კონსენსუალური გადაწყვეტილებები, მათ შორის, *რეკომენდაცია ადამიანის უფლებებზე ალგორითმული სისტემების ზეგავლენასთან დაკავშირებით*. აღნიშნული რეკომენდაცია თავს უყრის სახელმძღვანელო პრინციპებს და მოუწოდებს მთავრობებს არ დაუშვან ადამიანის უფლებების დარღვევა ალგორითმული სისტემების გამოყენებით, შემუშავებით ან შესყიდვით. 2020 წლის 22 აპრილს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტმა შეხვედრა გამართა წერილობითი პროცედურის და არაფორმალური ვიდეოკონფერენციის მეშვეობით, რომლის ფარგლებში მიიღებულ იქნა *მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია COVID-19-ის პანდემიის შესახებ*; კომიტეტი შეთანხმდა, რომ მინისტრთა კომიტეტის 130-ე სესია გადაიდება და 2020 წლის 15 მაისის ნაცვლად (სტრასბურგი) ჩატარდება 4 ნოემბერს ქ. ათენში, საბერძნეთის თავმჯდომარეობის ფარგლებში. ამასთანავე, ცნობად იქნა მიიღებული გენერალური მდივნის 21-ე კონსოლიდირებული ანგარიში „კონფლიქტი საქართველოში“. მინისტრთა მოადგილეების კომიტეტმა ასევე გაცვალა მოსაზრებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტთან ლინოს-ალექსანდრე სიცილიანოსთან. 2020 წლის 6 მაისს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტმა შეხვედრა გამართა წერილობითი პროცედურისა და არაფორმალური ვიდეოკონფერენციის რეჟიმში, რომლის ფარგლებში მიიღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. მინისტრთა მოადგილეების კომიტეტმა ასევე შეძლო მოსაზრებების გაცვლა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისართან, დუნია მიატოვიჩთან და საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან, რიკ დაემსისთან.

**3. 2020 წლის 15 მაისს** გაიმართა *მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის შეხვედრა, მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობის გადაზარებასთან დაკავშირებით* (მოადგილეების 1375bis შეხვედრა) წერილობითი პროცედურისა და არაფორმალური ვიდეოკონფერენციის საშუალებით. შეხვედრას თავმჯდომარეობდა მინისტრთა კომიტეტის მოქმედი თავმჯდომარე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, დავით ზალკალიანი და მინისტრთა კომიტეტის მომავალი თავმჯდომარეობის წარმომადგენელი, საბერძნეთის საგარეო საქმეთა ალტრენატიული მინისტრი, მილტიადის ვარვიციოტისი.

## დანართი

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში საქართველოს თავმჯდომარეობის საქმიანობის ცხრილი  
(2019 წლის 27 ნოემბერი - 2020 წლის 15 მაისი)

	თარიღი ადგილი	ღონისძიება კომპეტენტური ორგანო
1.	2019 წლის 27 ნოემბერი სტრასბურგი	მინისტრთა კომიტეტში საქართველოს თავმჯდომარეობის დაწყება, საფრანგეთის თავმჯდომარეობის მიერ საქართველოსათვის თავმჯდომარეობის გადაცემა
2.	2019 წლის 12 დეკემბერი სტრასბურგი	მინისტრთა კომიტეტი - მინისტრთა კომიტეტის არაფორმალური შეხვედრა - აზრთა გაზიარება ქალთა და გოგონათა მიმართ კიბერ-ძალადობის თემაზე
3.	2019 წლის 16 დეკემბერი თბილისი	ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) დიასპორის პოლიტიკაზე საპარლამენტო ქსელის კონფერენცია
4.	2020 წლის 23 იანვარი სტრასბურგი	მინისტრთა კომიტეტი - მინისტრთა კომიტეტის არაფორმალური შეხვედრა - აზრთა გაზიარება ახალგაზრდობის თემაზე
5.	2020 წლის 24-25 თებერვალი სტრასბურგი	კონფერენცია: კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) ზემოქმედება ანტიკორუფციულ რეფორმებზე: „თეორიიდან პრაქტიკამდე“.  <i>გაუქმდა COVID-19-ის პანდემიის გამო</i>
6.	2020 წლის 27 თებერვალი სტრასბურგი	საერთაშორისო მაღალი დონის კონფერენცია გარემოს დაცვისა და ადამიანის უფლებათა შესახებ
7.	2020 წლის 6 მარტი სტრასბურგი	საერთაშორისო კონფერენცია - „გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის შესახებ“.  <i>COVID-19-ის პანდემიის გამო 2020 წლის 6-7 მაისს ჩატარდა ონლაინ ფორმატში</i>
8.	2020 წლის 23 მარტი სტრასბურგი	მრგვალი მაგიდა: „ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულება - ევროპაში აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში არსებული გამოცდილების შეჯერება“.  <i>COVID-19-ის პანდემიის გამო 2020 წლის 12 მაისს ჩატარდა ონლაინ ფორმატში</i>
9.	2020 წლის 30 მარტი სტრასბურგი	მრგვალი მაგიდა: „დემოკრატიის გაძლიერება განათლებისა და კულტურის მეშვეობით“.  <i>გაუქმდა COVID-19-ის პანდემიის გამო</i>

10.	2020 წლის 1-2 აპრილი ლუქსემბურგი	ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების გაფართოებული წილობრივი შეთანხმების (EPA) მმართველი საბჭოს შეხვედრა  <i>გადაიღო COVID-19-ის პანდემიის გამო</i>
11.	2020 წლის 7 აპრილი სტრასბურგი	განათლების პოლიტიკის საკითხებზე მრჩეველთა ქსელის (EPAN) შეხვედრა - „განათლება დემოკრატიისთვის: განათლების მეშვეობით ევროპაში დემოკრატიის პრაქტიკის განვითარება“.  <i>გადაიღო COVID-19-ის პანდემიის გამო</i>
12.	2020 წლის 9 აპრილი სტრასბურგი	ადამიანის უფლებათა და გარემოს დაცვის საკითხებზე საერთაშორისო კონფერენცია „ადამიანის უფლებები პლანეტისთვის“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო  <i>COVID-19-ის პანდემიის გამო კონფერენცია გადაიღო 2020 წლის 5 ოქტომბრისთვის</i>
13.	2020 წლის 21 აპრილი სტრასბურგი	მრგვალი მაგიდა რელიგიური შემწყნარებლობის საკითხებზე  <i>COVID-19-ის პანდემიის გამო მრგვალი მაგიდა გაუქმდა</i>
14.	2020 წლის 15 მაისი სტრასბურგი	მინისტრთა კომიტეტის 130-ე სესია  <i>COVID-19-ის პანდემიის გამო გადაიღო და გაიმართება 2020 წლის 4 ნოემბერს ათენში, საბერძნეთი</i>